ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის

აქტი N 3

დ.ჩოხატაური 22.05.2019 წელი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური,განათლების,კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიამ, სამუშაო გეგმის საფუძველზე შევისწავლეთ ა(ა)იპი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის საქმიანობა 2018-2019 წლების მდგომარეობით.

შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი: 2018 წლის 15 თებერვალს, რეორგანიზაციის შედეგად,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბრძანება#226 საფუძველზე დაფუძნდა ა(ა)იპი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 4 მუზეუმს, 19 ბიბლიოთეკას და თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეას.

ცენტრის ადმინისტრაცია განლაგებულია ნ.ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობაში, ამავე შენობაში მდებარეობს მუზეუმის ადმინისტრაციაც. იქ სადაც უნდა იყოს დაცული ფონდები, ხდება ადამიანების უკონტროლოდ მოძრაობა, რაც ყოვლად დაუშვებელია, ვინაიდან სამუზეუმო ნივთებისა და კოლექციების დაცულობა საფრთხის ქვეშ დგება.

რეორგანიზაციის მიზანს შეადგენდა ეფექტური მმართველობის ჩამოყალიბება, უკეთესი მომსახურების გაწევა და რაც მთავარი იყო, ფინანსური ეკონომიის მიღწევა.

რეორგანიზაციამდე სამივე ა(ა)იპში დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 264,4 ათასი ლარის დაფინანსება,ფაქტიურად დაიხარჯა 329,01 ათასი ლარი,ე.ი. 64,61 ათასი ლარით მეტი. მ.შ სამივლინებო თანხები დაიხარჯა 3,0 ათასი ლარით მეტი,ოფისის ხარჯი 28.1 ლარით მეტი,წარმომადგენლობითი ხარჯი-2,5 ათასი ლარით მეტი,შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურების მუხლში-11,3 ათასი ლარით მეტი. და ა.შ.

რაც შეეხება ეფექტურ მმართველობას, რაც გულისხმობს მცირე შრომითი და ფინანსური დანახარჯებით მაქსიმალური ეფექტის მიღწევას, ესეც ეჭვის ქვეშ დგება. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ საშტატო განრიგის მიხედვით ცენტრის საფინანსო-საბუღალტრო საქმიანობას წარმართავს 4 ადამიანი, წლიური დაფინანსება შეადგენს 315,5 ათას ლარს, მ.შ.შრომის ანაზღაურების მუხლში 271,8 ათას ლარს,რაც მთლიანი თანხის 86%-ია,ასევე ცენტრს მხოლოდ გამარტივებული შესყიდვებით აქვს საქონელი და მომსახურება შეძენილი.მიგვაჩნია,რომ საჭიროა შტატების ოპტიმიზაცია.გაერთიანების შედეგად ფინანსური და არაფინანსური სარგებელი,ასევე მენეჯმენტის გაუმჯობესება არ იკვეთება.

ინვენტარიზაცია

ნ.ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდის ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის დირექტორის 2018 წლის 23 აპრილის #34 ბრძანების საფუძველზე შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის მუშაობის შედეგად გამოვლინდა მთელი რიგი დარღვევები,რის გამოც ცენტრის დირექტორის 2018 წლის 16 ოქტომბრის #149 ბრძანებით მუზეუმის დირექტორს,ნათელა კალანდაძეს დაევალა განიხილოს და უზრუნველყოს გამოსწორებადი ხარვეზების აღმოფხვრა,რისთვისაც განესაზღვრა ვადა 2019 წლის 1 ნოემბრამდე,მუზეუმში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო.

რაც შეეხება წიგნადი ფონდის ინვენტარიზაციას,ცენტრის დირექტორის 2018 წლის 10 მაისის #50 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა საინვენტარიზაციო დოებითმა კომისიამ ჩაატარა ტერიტორიული ორგანოს ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის ინვენტარიზაცია,რის შედეგადაც წიგნადი ფონდიდან ამოღებულ იქნა შინაარსობრივად მოძველებული და მკითხველთა მიერ ხმარებით დაზიანებული ლიტერატურა,სულ 7550 ეგზემპლიარი,ღირებულებით 11764 ლარი და 35 თეთრის.რაც შეფასებულია შპს „ლაზიკა აუდიტი"ს მიერ 2018 წლის 30 მაისის დასკვნით.აქ ერთგვარ შეუსაბამობას აქვს ადგილი,კერძოდ აუდიტთან გაფორმებული მიღება- ჩაბარების აქტი (30.04.2018) წინ უსწრებს ინვენტარიზაციის აქტებს (2018 წ.მაისის ბოლო რიცხვები),ხოლო მომსახურების თანხა გადარიცხულია 03.05.2018 წელს.ჩვენი აზრით ინვენტარიზაცია უნდა ჩატარებულიყო მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე,ვინაიდან აღნიშნული ქონება მუნიციპალიტეტის ბალანსზე იყო და დღემდე იქ აღირიცხება,ხოლო აუდიტის დასკვნაში ქონება მითითებულია,როგორც ა(ა)იპის საკუთრება.აქედან გამომდინარე საკითხი დასაზუსტებელია,მოსაყვანია შესაბამისობაში რეალურ სიტუაციასთან. ჩვენი შეხედულებით უნდა გაუქმდეს ცენტრის დირექტორის 2018 წლის 10 მაისის #50 ბრძანება,ინვენტარიზაციის შედეგები და მერის ახლადგამოცემული ბრძანების საფუძველზე ჩატარდეს ხელახალი ინვენტარიზაცია.

ინფრასტრუქტურა

ცენტრის სტრუქტურულ ერთეულებში,ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში, კომისიის მიერ შესწავლილ იქნა ინფრასტრუქტურის მდგომარეობა,რაც სრულადაა მოცემული #1 და #2 დანართებში.

უნდა აღინიშნოს,რომ არანაირი ყურადღება არ ექცევა ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. უხარისხოა. პირველ რიგში საჭიროა ჩატარდეს მთავარი ბიბლიოთეკის სრული რეაბილიტაცია.

ცუდი მდგომარეობაა ზემოსურების, ბუკისციხის, ერკეთის, ვანის, ამაღლების ბიბლიოთეკებში. ხოლო ქვემოერკეთში ჩატარებული სარემონტო სამშენებლო სამუშაოები, უხარისხოდაა შესრულებული. სრულიად გაუგებარია, რატომ არ დაიგეგმა მიმდინარე წელს მოსე გოგიბერიძის მუზეუმში სარეაბილიტაციო სამუშაოები, ვინაიდან სწორედ 2019 წლის შემოდგომაზე აღინიშნება ამ უდიდესი ფილოსოფოსის გარდაცვალებიდან 80 წლის იუბილე, რაზედაც დაგეგმილია მთელი რიგი ღონისძიებები.

მისასალმებელია,რომ ნ.დუმბაძის სახელობის მუზეუმში დანერგილია ფასიანი მომსახურება.მიგვაჩნია,რომ ასეთი მომსახურება უნდა დაინერგოს სხვა მუზეუმებშიც,რაც მცირედით მაინც გაზრდის ა(ა)იპის საკუთარ შემოსავლებს.

აღსანიშნავია,რომ სტრუქტურული ერთეულები არ ფლობენ ინფორმაციას,ცენტრის წლიური ბიუჯეტიდან რა წილია გათვალისწინებული მათ სტრუქტურულ ერთეულებზე(გარდა ხელფასებისა).

შემოწმების დროს გამოიკვეთა დიდი დაინტერესება მოსახლეობის მხრიდან, ბიბლიოთეკების მიმართ. 2018 წელს ბიბლიოთეკებით ისარგებლა 24577 ადამიანმა, ხალხის მოთხოვნაა, რომ ბიბლიოთეკებში იყოს ახალი წიგნები, სხვადასხვა სფეროს ჟურნალ-გაზეთები, განსაკუთრებით საბავშვო განხრით.

საჭიროა ეტაპობრივად განისაზღვროს ბიბლიოთეკების, თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეის და მუზეუმების მოწესრიგების გეგმა ეროვნული ბიბლიოთეკის და შესაბამისი მეთოდცენტრების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

კომისიის წევრები:

1. ვლადიმერ სიხარულიძე
2. მაია გიორგაძე
3. ალექსანდრე ყაჭეიშვილი
4. თემურ ხუხუნაიშვილი
5. ნატო ჩანტლაძე
6. დავით შარაშიძე
7. ირაკლი ახობაძე
8. მაია კუტუბიძე
9. ლია ჩიგოგიძე

დ ა ნ ა რ თ ი 1

| N | მუზეუმის დასახელება | მუზეუმის თანამშრომლები | განათლება,სტაჟი,ბოლოს გავლილი კვალიფიკაცია | ინფრასტრუქტურა | ვიზიტორთა რაოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მხარეთმცოდნეობის | ნათელა კალანდაძე | უმაღლესი -13 წელი,გავლილი აქვს ტრენინგები | მოუწესრიგებელი,დირექტორს არ გააჩნია კაბინეტი,ადმინისტრაცია განლაგებულია ერთ პატარა ოთახში,სამუზეუმო ფონდში შეტანილი ექსპონატები არ არის დაცული.საცავში საჭიროა გამწოვი,მუზეუმს არ გააჩნია პანდუსი,შშმ პირი პირვე სართულზეც ვერ შემოვა.ტუალეტი მოუწესრიგებელია.საერთოდ ჩასატარებელია რემონტი.პირველ სართულზე ბინადრობს ქვეწარმავლები. | 2018-1300 | სისტემატიური ხასიათი აქვს თანამშრომლების ბავშვების თავშეყრას მუზეუმში.მუზეუმს გააჩნია მხოლოდ ერთი კომპიუტერი,არ აქვთ ფოტოაპარატი,პროექტორი.ექსპედიციისთვის არ არის გამოყოფილი ხარჯები,მუზეუმი ვერ უზრუნველყოფს რაიონში ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიებების შეგროვება-შენახვას.მუზეუმში არ არის დაცული ადგილობრივი გაზეთის ნომრები. |
| 2 | ნოდარ დუმბაძის სახელობის | თამაზ ჩიგოგიძე | სტაჟი-25 წელი.ტრენინგი არ გაუვლია | მოწესრიგებული | 9740 | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | მოსე გოგიბერიძის სახელობის | დირექტორი- რუსუდან კალანდაძე.სულ 3 თანამშრომელია | უმაღლესი,სტაჟი-30 წელი. | სარემონტოა ჭერი,უკან გასასვლელი კიბე .საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს. | 373 | შემოდგომაზე აღინიშნება მოსე გოგიბერიძის გარდაცვალებიდან 80 წლის იუბილე და ამდენად დასაჩქარებელია შენობის მოწესრიგება |
| 4 | ნიკო მარის სახელობის | უჟენი მარი | უმაღლესი.სტაჟი-20 წელი.ტრენინგი არ გაუვლია | მოსაწესრიგებელია.მუზეუმა არ აქვს ასასვლელი კიბე.არ აქვს სკამები.იატაკი სარემონტოა.არ ხდება ექსპონატების ქიმიური დამუშავება.არ აქვს საკანცელარიო ნივთები | 225 | ხშირად ტარდება ღონისძიებები,კონფერენციები,სტუმრობენ სტუდენტები,რომლებიც მუშაობენ სადიპლომო თემებზე.დადიან უცხოელები. |

**დ ა ნ ა რ თ ი 2**

| N | ბიბლიოთეკის დასახელება | ბიბლიოთეკარი | განათლება,სტაჟი,ბოლოს გავლილი კვალიფიკაცია | წიგნადი ფონდის მოცულობა ფაქტიურად | შენობა-ნაგებობის მდგომარეობა დღეისათვის | მკითხველთა რაოდენობა | ბოლო პერიოდში მიღებული წიგნები,გამოწერილი ჟურნალ-გაზეთები | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მთავარი | მენეჯერი-მაია მელუა | უმაღლესი.სტაჟი-33 წლი.გავლილი აქვს ტრენინგები | 30509 | ესაჭიროება კაპიტალური რემონტი | 2018-12260+9960<br>2019-2125 | ნოე რამიშვილი-12<br>იური სიხარულიძე-8 | |
| 2 | ჯვარცხმა | მარიამ ქღენტი | უმაღლესი(დაწყებითი).სტაჟი 5 წელი.ტრენინგი 2015 წელი | 4135 | დამაკმაყოფილებელი. | 2018-150<br>2019-95 | ნოე რამიშვილი-12<br>იური სიხარულიძე-8 | არ მიუღიათ საკანცელარიო ნივთები.მოსახლეობა ითხოვს ახალ ლიტერატურას და ჟურნალ-გაზეთებს. |
| 3 | ხიდისთავი | ლიანა თავართქილაძე | საშუალო-სპეციალური(კულტ-საგანმანათლებო).სტაჟი-30 წელი.6 ტრენინგი 2015 წელს | 6937 | განთავსებულია იუსტიციის სახლში.აქვს 4 კომპიუტერი და 1 ლეპტოპი. | 2018-300<br>2019-156 | კვირის პალიტრა | მოსახლეობა ითხოვს ახალ ლიტერატურას და ჟურნალ-გაზეთებს. |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | ქვენობანი | ნატო ნიკოლაიშვილი | უმაღლესი,ბიბლიოთეკარი.სატაჟი-7 წელი.6 ტრენინგი 2015 წ. | 4998 | შენობა დამაკმაყოფილებელი. არ არვს სკამი,ელ-გადამყვანი.აქვს კომპიუტერი. | 2018-150<br>2019-55 | ნოე რამიშვილი-12 იური სიხარულიძე-8.კვირის პალიტრა | მოსახლეობა ითხოვს ახალ ლიტერატურას და ჟურნალ-გაზეთებს.ითხოვს ფარდებს,იატაკის საღებავს |
| 5 | საყვავის ტყე | ეველინა ოსეფაიშვილი | უმაღლესი განათლება,ბიბლიოგრაფი.სტაჟი-50 წელი.ტრენინგი არ გაუვლია | 1965 | შენობა,რაშიც განთავსებულია ბიბლიოთეკა მოუწესრიგებელია,განთავსებულია ერთ ოთახში,საჭიროა კოსმეტიკური რემონტი.არ აქვს საკანცელარიო ნივთები.სკამი, | 2018-105<br>2019-55 | ნოე რამიშვილი-14 იური სიხარულიძე-4.გურია ნიუსი | მოსახლეობა ითხოვს ახალ ლიტერატურას და ჟურნალ-გაზეთებს.გასაახლებელია სტელაჟები. |
| 6 | შუაამაღლება | ფატი ჩხარტიშვილი | უმაღლესი,პედაგოგი. სტაჟი-7 წელი. კვალიფიკცია 2018 | 6000 | სარემონტოა. | 2018-200<br>2019-88 | ნოე რამიშვილი-12 იური სიხარულიძე-8.კვირის პალიტრა | ითხოვენ თანამედროვე ლიტერატურას და ჟურნალ გაზეთებს |
| 7 | ამაღლება | დარეჯან ჩხიკვიშვილი | საშუალო-სპეციალური,ბიბლიოთეკამცოდნე.სტაჟი-33 წელი.კვალიფიკაცია-2017 წელი | 5697 | სარემონტოა. | 2018-150<br>2019-102 | ნოე რამიშვილი-12 იური სიხარულიძე-7.კვირის პალიტრა | აქვთ ნაჩუქარი წიგნები(გიორგი კეკელიძე) ახალ ლიტერატურას და ჟურნალ-გაზეთებს |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | ვანი | ლილი ხუხუნაიშვილი | საბავშვოუმაღლესი,ფილოლოგი.სტაჟი-45.კვლიფიკაცია 2018 | 3572 | სკოლის შენობაშია ერთი ოთახი.ნესტიანი ოთახი,შესაცვლელია .არ აქვს ინვენტარი. | 2018-115 2019-57 | ნოე რამიშვილი-6 იური სიხარულიძე-4.გურია ნიუსი | სტელაჟები. წიგნები,ჟურნალ-გაზეთები |
| 9 | ზომლეთი | ლილი ხუხუნაიშვილი | უმაღლესი,ფილოლოგი. სტაჟი-45.კვლიფიკაცია 2018 | 3252 | დამაკმაყოფილებელი. | 2018--85 2019-30 | ნოე რამიშვილი-4იური სიხარულიძე-4.გურია ნიუსი | ხელფასი.ახალი წიგნები,ჟურნალ-გაზეტები |
| 10 | ხევის | ნანა კვაჭანტირაძე | უმაღლესი,ფილოლოგი. სტაჟი-5 წელი.ტრენინგი არ აქვს გავლილი | 5200 | ესაჭიროება იატაკი(ცემენტის) ჭერი შესარემონტებელია,არ აქვს ინვენტარი, | 2018-175 2019-58 | ნოე რამიშვილი-12 იური სიხარულიძე-7.გურია ნიუსი | ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები |
| 11 | ზემოსურები | ნინო ტრაპაიძე | საშუალო.სტაჟი-10 წელი.არ გაუვლია ტრენინგი | 5468 | მოსაწესრიგებელია.ჩამსხვრეულია მინები,არაა სტელაჟევი,წიგნები იატაკზეა განთავსებული,არაა ინვენტარი არანაირი,გიორგი კეკელიძემ გადასცა 335 ცალი წიგნი. | 2018-64 2019-35 | ნოე რამიშვილი-4 იური სიხარულიძე-4.გურია ნიუსი | ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები |
| 12 | ბუკისციხე | მანანა თედორაძე | უმაღლესი ,საშუალოტექნიკური-ბიბლიოთეკარი.სტაჟი-15 წელი.ტრენინგი-1987წ | 4471 | ბიბლიოთეკა განთავსებულია ორ ოთახში,საშიშია ჭერი და იატაკი ,კედლები დაბზარული,სასწრაფოდ სარემონტოა.არაა ინვენტარი.დაპირება:გიორგი კეკელიძისაგან | 2018-100 2019-15 | გიორგი კეკელიძემ საჩუქრად გადასცა 78 ცალი წიგნი. ნოე რამიშვილი-12 იური სიხარულიძე-4.გურია ნიუსი | ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13 | კოხნარის | დარეჯან დუდუჩავა | საშუალო-სპეციალური.სატჟი-35 წელი.ტენინგი-1987 | 5000 | ბიბლიოთეკა არის ორ ადგილზე.იუსტიციის სახლის შენობაში და ძველი-ადმინისტრაციულ შენობაში. სასურველია წიგნადი ფონდი გადატანილ იქნას იუსტიციის სახლის შენობაში,სადაც ყველანაირი პირობაა ადამიანებმა ისარგებლონ სრულად ბიბლოითეკით ნორმალურ პირობებში | 2018-60<br>2019-22 | ნოე რამიშვილი-იური სიხარულიძე- . ჟურნალ-გაზეთები გამოწერილი არ არის | ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები |
| 14 | ქვემოერკეთი | თამარ კუტალაძე | უმაღლესი,კვების ტექნოლოგი,დაწყებითე ბი..სტაჟი-8 წელი.ტრენინგი არ გაუვლია | 3000 | სარემონტო,4 წლის წინ ჩასმულია მეტალოპლასტიკის ფანჯრები,არაა ამოლესილი,არის დიდი ზომის ნაპრალები,ფაქტიურა დ ფანჯრები დამაგრებულია ხის ნაჭრებით.მუშაობა შეუძლებელია. | 2018-40<br>2019-24 | ნოე რამიშვილი-12. იური სიხარულიძე-.8 გურია ნიუსი | ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 | ერკეთის | დარეჯან მგალობლიშვილი | საშუალო-სპეციალური.სტაჟი-30 წლი.ტრენინგი-2016 წ. | 3836 | შენობა არის ძველი,ხის.სარემონტო ა,კედლებში ჭუჭრუტანებია,საიდან აც შემოდის ჰაერი,სახურავიდან წვიმის დროს ჩამოდის წყალი.შენობის ბოძები დაშლილია..არ აქვს ინვენტარი. | 2018-370<br>2019-57 | ნოე რამიშვილი-12. იური სიხარულიძე-5 გურია ნიუსი | ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები |
| 16 | გუთური | მადონა ჩხიკვაძე | საშუალო-სპეციალური.სტაჟი-30 წელი.ტრენინგი 1985 წ. | 5140 | ბიბლიოთეკა ადმინისტრაციულ შენობაშია.დროებით 1 ოთახშია,მეორე ოთახში განთავსებულია სკოლა,დროებით.არ აქვს ინვენტარი.შესაცვლე ლია ფანჯრები,სარემონტო ა ჭერი. | 2018-86<br>2019-54 | ნოე რამიშვილი-12. იური სიხარულიძე-.6 გურია ნიუსი | ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები |
| 17 | საჭამიასერი | 1.ცისანა გაგუა<br>2. თამარ ზაქარეიშვილი | 1.საშუალო სპეციალური.სტაჟი-27 წლის.<br>2. საშუალო სპეციალური.სტაჟი-7 წელი.<br>ტრენინგი არ გაუვლიათ. | 9475 | დამაკმაყოფილებელი. სჭირდებათ ფარდები,წიგნის თაროები. | 2018-207<br>2019-106 | ნოე რამიშვილი-12. იური სიხარულიძე-.6 გურია ნიუსი | ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები |
| | | | | 78146 | | | | |